

# რუთენოცენის ახალი წარმოებულების სინთეზი

## ა. ქორიძე

(1,3-დიფორმინდენილ)ციკლოპენტადიენილრუთენიუმის წარმოებულების  $\{\eta^5-1,3-(CHO)_2C_9H_5\}RuCp$  ( $Cp=C_5H_5$ ),  $\{\eta^5-1,3-(CHO)_2C_9H_5\}RuCp^*$  ( $Cp^*=C_5Me_5$ ) და  $\{\eta^5-1,3-(CHO)_2C_9H_5\}RuCp^F$  ( $Cp^F=C_5Me_4CF_3$ ) აღდგენით ჰიდრიდებით  $NaBH_4$  ან  $LiAlH_4$  რბილ პირობებში კარგი გამოსავლიანობით მიღებულია შესაბამისი რუთენიუმის [1,3-ბის-(ჰიდროქსიმეთილ)ინდენილ]ციკლოპენტადიენილური კომპლექსები  $\{\eta^5-1,3-(CH_2OH)_2C_9H_5\}RuCp^*$  და  $\{\eta^5-1,3-(CH_2OH)_2C_9H_7\}RuCp^F$ .

ორვალენტოვანი რუთენიუმის კომპლექსების  $[Cp^FRuCl]_n$  და  $[Cp^FRu(CH_3CN)_3]PF_6$  ურთიერთქმედებით პენტაფულვენებთან 1,2-(Me<sub>2</sub>NCH)(CO<sub>2</sub>Et)C<sub>5</sub>H<sub>3</sub> და 1,3-(Me<sub>2</sub>NCH)-(CO<sub>2</sub>Et)C<sub>5</sub>H<sub>3</sub>, შემდგომი ჰიდროლიზით, მიღებულია შესაბამისი ახალი ჰომოანულარულად დიჩანაცვლებული რუთენოცენები  $\{1,2-(CO_2Et)(CHO)C_5H_3\}RuCp^F$  და  $\{1,3-(CO_2Et)-(CHO)C_5H_3\}RuCp^F$  ( $Cp^F=C_5MeCF_3$ ).